საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 53

ქ. თბილისი

26.11.2018

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);
ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
სოფიკო ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი, სხდომის მდივანი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართაველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;
გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;
გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განთლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი;
პაატა ბრეკაშვილი - შპს კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;
გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი;
ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი.
გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ლაშა მაჭარაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
ვახტანგ ლეჟავა - რექტორი
მარინა ქარჩავა - პრორექტორი
ნათია სამუშია - პრორექტორი
ზაზა მეტრეველი - საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი
ნინო წიკლაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
ნატო კობახიძე - სადოქტორო სკოლის კოორდინატორი
ანა ბოკუჩავა - აკადემიური პერსონალი
კონსტანტინე ჩხიკვაძე - აკადემიური პერსონალი
ვახტანგ არაბიძე - აკადემიური პერსონალი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
სერგო ვარდოსანიძე - რექტორი
პაატა გოგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ტარიელ ფუტკარაძე - პროგრამების ხელმძღვანელი
გიორგი ალიბეგაშვილი - პროგრამების ხელმძღვანელი
მანანა ტაბიძე - აკადემიური პერსონალი
ეკა დუღაშვილი - აკადემიური პერსონალი

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მაკა ბერიძე - რექტორი
თინა გელაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი
ცისკარა ზარანდია - პროგრამის ხელმძღვანელი

ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:
თინათინ გაბრიჩიძე
ვასილ კიკუტაძე
მარინე ჩავლეიშვილი
ანა მოსემღვდლიშვილი
ნანა იაშვილი
შოთა დოგრაშვილი
ნინო გუნია-კუზნეცოვა
გიორგი ქურდიანი

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:20 საათზე. აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, ლევან გორდეზიანს. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1.სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. .სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6.ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ინჟინერიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ცენტრის წარმომადგენელმა, მაია გელაშვილმა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წარმომადგენელთა თხოვნით, დააყენა შუამდგომლობა, თუ იყო შესაძლებელი, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-6 საკითხი განხილული ყოფილიყო 1-ელ საკითხად, მე-4 და მე-5 საკითხები კი მე-2 და მე-3 საკითხებად. საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილება შესაძლებელი იყო. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს დამსწრე წევრებმაც.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო განახლებული დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ინჟინერიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

წარმოდგენილი დღის წესრიგი საბჭოს მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული.

1. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ინჟინერიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინჟინერია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ინჟინერიის დოქტორი 04
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს წევრებმა, თეო ურუშაძემ და ელიზბარ ელიზბარაშვილმა განსახილველ საკითხთან მიმართებით განაცხადეს თვითაცილება, ვინაიდან ისინი საქმიანობდნენ აკრედიტაციის მაძიებელ უნივერსიტეტში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის წევრი მანანა მოისწრაფიშვილი სხდომაზე ჩაერთვებოდა სკაიპის მეშვეობით და ისაუბრებდა პროგრამასთან დაკავშირებით. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ძირითადი რეკომენდაციები:

- ოთხივე სამეცნიერო მიმართულებისათვის პროგრამის დონეზე სწავლის შედეგების უნიფიცირება;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის სისტემატიზაცია და გავრცელება; შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით მომზადება/განვითარება;
- უნივერსიტეტი უნდა ახდენდეს გარე შეფასების ინტეგრირებას თავის შიდა ხარისხში და შესაძლო რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებას;

- პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება სისტემატურად უნდა ხორციელდებოდეს ყველა დაინტერესებული მხარის ოფიციალური ჩართულობით.

საბჭოს თავმჯომარემ, ირაკლი ბურდულმა შენიშნა, რომ დასკვნაში მოცემული როგორც რეკომენდაციები ისე რჩევები უფრო მეტად რჩევების სახისა იყო, ვიდრე ხარვეზებისა, რადგან გარე შეფასების ინტეგრირება ვერ ჩაითვლებოდა უნივერსიტეტის ხარვეზად, იმის გამო, რომ უნივერსიტეტი არ არის იურიდიულად ვალდებული, ჰქონდეს გარე შეფასებაზე დაფუძნებული სისტემა.

ექსპერტმა უპასუხა, რომ ეს რეკომენდაცია არც ყოფილა ხარვეზის ტიპისა და აღნიშნა, რომ მას მხოლოდ მეტწილად შესაბამისობაში გადაჰყავდა სტანდარტის შეფასება, თანაც მისი შენიშვნით 5.2 კომპონენტის მოთხოვნებიც ითვალისწინებს გარე შეფასებას.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ იკითხა, თუ საიდან გაიგეს ექსპერტებმა, რომ უნივერსიტეტში არ არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

ექსპერტის შენიშვნით, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც მოთხოვნილია სააკრედიტაციო თვითშეფასების დანართში.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ ექსპერტს სთხოვა დაეზუსტებინა, არსებობდა თუ არა დოკუმენტი.

ექსპერტმა უპასუხა, რომ დაწესებულების წარმომადგენლების თქმით, დოკუმენტი მზადების პროცესში იყო.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა პირველი რეკომენდაციის შესახებ, რომელიც ეხებოდა სწავლის შედეგების უნიფიცირებას, იკითხა პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ არსებული შედეგები სრულად არ ასახავდა შედეგებს თუ ტექნიკურად გამსხვილებულ და უნიფიცირებულ სწავლის შედეგებზე იყო საუბარი.

ექსპერტმა უპასუხა, რომ ჯგუფი ტექნიკურად გამსხვილებულ და უნიფიცირებულ სწავლის შედეგებს გულისხმობდა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა ამასთან დაკავშირებით იკითხა, თუ რატომ იყო ასეთ შემთხვევაში დაწერილი რეკომენდაცია და არა რჩევა.

ექსპერტის თქმით, ჯგუფს ამ საკითხზე შეჯერება გაუჭირდა. მან აღნიშნა, რომ ეს მარტივი ტექნიკური საკითხი იყო, თუმცა სწავლის შედეგების უნიფიცირების შემთხვევაში მათი აღქმა უფრო მარტივი იქნებოდა.

საბჭოს წევრმა გელა გელაშვილმა იკითხა, თუ რამ უბიძგა ექსპერტებს რჩევის მიცემა ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის ტრენინგის დაგეგმვის შესახებ.

ექსპერტმა უპასუხა, რომ აქ იგულისხმებოდა მომავალი ხელმძღვანელების გაახალგაზრდავების საჭიროება. მისი თქმით, ძირთადად წარმოდგენილი იყვნენ ასაკოვანი პროფესორები. თუმცა, მან ისიც აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი შორს იყო იმ აზრისაგან, რომ სადოქტორო საფეხურზე არ უნდა ასწავლიდნენ ასაკოვანი პროფესორები და მისი შენიშვნა ემსახურებოდა მათთან ერთად, ახალგაზრდა პროფესორების ჩართულობასაც. მან ასევე აღნიშნა, რომ ასეთი პრობლემა აგრარულის გარდა სხვა უნივერსიტეტებსაც აქვთ საქართველოში.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა შენიშნა, რომ ექსპერტები მიუთითებენ პროგრამების დაგეგმვის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის არარსებობაზე, ასევე სწავლის შედეგების უნიფიცირების საჭიროებაზე, თუმცა ამავდროულად არ აღნიშნავენ პრობლემას არც პროგრამის დაგეგმვასთან დაკავშირებით და არც სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან კავშირის შესახებ. მან იკითხა, თუ როგორ შეაფასებდნენ ექსპერტები ამ მიმართულებით მიღწეულ შედეგებს დოკუმენტის არარსებობის პირობებში.

ექსპერტმა უპასუხა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სხვა ბევრი დოკუმენტი, რომლებიც აკმაყოფილებდნენ სტანდარტს და არ არის შესაბამისად შენიშვნა გაკეთებული. რაც შეეხება სწავლის შედეგების შესახებ რეკომენდაციას, მისი თქმით ამ რეკომენდაციის მიცემის წინაპირობა იყო ორ სილაბუსში, აგროინჟინერიისა და მშენებლობის მიმართულებით, თითქმის ერთნაირი სწავლის შედეგები იყო წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს. დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და მისი თქმით, სააკრედიტაციო ვიზიტმა ჩაიარა მაღალ პროფესიულ დონეზე. ასევე, მან შენიშნა, რომ საბჭოს წევრები თავიანთი კითხვებით სწორედ ისეთ საკითხებს შეეხნენ, რომელთა შესახებაც თავადაც სურდათ ემსჯელათ საბჭოს წევრებთან ერთად. მისი თქმით, ექსპერტის განმარტებამ სწავლის შედეგების უნიფიცირების შესახებ საკითხს მეტი ნათელი მოჰფინა და აღნიშნა, რომ ნამდვილად შეიძლება მომავალში ამ რეკომენდაციის გათვალისწინება, რათა უფრო ნათელი გახდეს ის თუ რა არის როგორც უფრო ზოგადი, ისე უფრო სპეციფიური კომპეტენციები პროგრამის ფარგლებში. თუმცა, მან ასევე დაამატა, რომ მოცემული პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით ჰქონდათ დისკუსია და მისი თქმით, წარსულში, სხვა სადოქტორო პროგრამის ფარგლებში მათ სწორედ უნიფიცირებულად ჰქონდათ სწავლის შედეგები მოცემული, ექსპერტებმა კი პირიქით მისცეს რეკომენდაცია, რომ ჩაეშალათ. მისი თქმით, თუკი საბჭო გადაწყვეტს, რომ ეს საერთო მნიშვნელები გაერთიანდეს და მრიცხველი რაც არის სენსიტიური დარჩეს, გონივრული იქნებოდა. რაც შეეხება პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიას, მან აღნიშნა, რომ ეს უფრო მეტად ავტორიზაციის საკითხია ვიდრე აკრედიტაციისა. მან აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე უნივერსიტეტი იმყოფება ავტორიზაციის რეჟიმში და ეს დოკუმენტიც სახეზეა. მისი თქმით, ის, რომ ზოგადად ეს პროცესები მუშაობს, მოცემული პროგრამითაც შეიძლება დადასტურდეს, რადგან ის საკმაოდ დადებითადაა შეფასებული და ასევე უნივერსიტეტის სხვა პროგრამებითაც, რომელთაც აკრედიტაცია მიიღეს. მან აღნიშნა, რომ გამომდინარე აქედან შეუძლებელია პროცესი მუშაობდეს ერთი პროგრამისათვის და სხვა პროგრამისათვის არა. მისი თქმით, ეს ნაწილი წარმოდგენილი იყო თვითშეფასების ანგარიშში, თუმცა არ არსებობდა ცალკე დოკუმენტის სახით, ახლა კი არსებობს. გარე შეფასების შესახებ, მან აღნიშნა, რომ ექსპერტებს აქვთ სპეციფიური მოთხოვნა, რომ ეს ჩართულობა ფორმალიზებული იყოს. მან აღნიშნა, რომ დაინტერესებული მხარეები უკვე არიან ჩართულები პროგრამის განვითარებაში. მისი თქმით, ამ ნაწილში სხვადასხვა უნივერსიტეტს შეიძლება ჰქონდეს დისკრეცია ამ ნაწილში, იმასთან დაკავშირებით იქნებიან გარე შემფასებლები ჩართულები თვითშეფასების შემუშავებაში თუ იქნება ეს სპორადული, ინტერვიუების, დისკუსიებისა და სხვა ფორმატების გათვალისწინებით. მისი თქმით, ასეთი ჩართულობა მოცემულ პროგრამას აქვს. მან ასევე აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამის დაინტერესებული მხარეებისა და ბენეფიციარების

ჩართვა რთულია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისაგან განსხვავებით. მისი თქმით, შეიძლება ეს იყო საინტერესო საზოგადოებისთვის, თუმცა იმის გარკვევა, თუ კონკრეტულად ვისთვის იქნება დოქტორანტი ამ მიმართულებით საინტერესო დასაქმების ბაზრის თვალსაზრისით, ძალიან რთულია, რადგან ეს ამბივალენტური გარემოა და ძნელია იმ ადამიანის პოვნა, ვისაც შეიძლება სჭირდებოდეს მაგალითად მშენებლობის დოქტორი. მისი თქმით, უნივერსიტეტი ეძებს და პოულობს ირიბ ბენეფიციარებს პროგრამებისათვის, თუმცა მათი გამოყოფა სადოქტორო პროგრამებისათვის რთულია, მითუმეტეს საინჟინრო დარგში, რომელშიც ისედაც საკმაოდ დიდი დეფიციტია. რაც შეეხება რჩევას ახალგაზრდა პროფესურის შესახებ, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მიესალმება ამ პროცესს, თუმცა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ დიდი წყვეტაა საინჟინრო დარგში თაობებისა. მისი თქმით, მოცემული სადოქტორო პროგრამის მიზანიც სწორედ ამ ახალი ინტელექტუალური პოტენციალის შექმნაა. მისი თქმით უნივერსიტეტის მონდომებას ამ მიმართულებით, ისიც აჩვენებს, რომ სულ 4 სტუდენტია პროგრამაზე ამ ეტაპზე, თუმცა მიუხედავად ამისა უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამას პროფესორებითაც და მატერიალური ბაზითაც.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა იკითხა, ჰქონდა თუ არა ვინმეს დაცული პროგრამაზე დისერტაცია.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჯერ არა, თუმცა ერთი დოქტორანტი არის უკვე მზად დაცვისათვის. მან ასევე აღნიშნა, რომ სადისერტაციო საბჭოში უნივერსიტეტს ისეთი ადამიანების ჰყავს, რომლებიც არ არიან აფილირებული უნივერსიტეტთან და ამასაც განიხილავენ როგორც გარე შეფასების ერთგვარ ირიბ საშუალებად, რადგან პროგრამის ფარგლებში შექმნილ სადოქტორო ნაშრომში შეიძლება გამოჩნდეს ის საკითხები, რომლებიც უფრო მეტ ყურადღებას შეიძლება მოითხოვდეს უნივერსიტეტის მესვეურებისაგან.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ იკითხა, არიან თუ არა მოქმედი დოქტორანტები უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ოთხიდან ერთი არის ისეთი, ვისაც საბაკალავრო და სამაგისტრო განათლებაც მათ უნივერსიტეტში აქვს მიღებული. მისი თქმით, პროგრამას წელს ჰყავდა ისეთი გამოშვება, რომელსაც სრულად მათ უნივერსიტეტში აქვთ განათლება მიღებული. მან აღნიშნა, რომ სხვა უნივერსიტეტებიდან მოსულ სტუდენტებთან მუშაობა უფრო რთულია, საკუთარ კურსდამთავრებულებთან კი უკეთ იციან თუ რა ცოდნა აქვთ უკვე. მან აღნიშნა, რომ ერთი დოქტორანტი ჩართულია იულიხის კვლევითი ცენტრისა და შოთა რუსთაველის ფონდის პროექტში, რომლის ფარგლებშიც ჰყავს 2 ხელმძღვანელი, 1 ქართველი 1 გერმანელი და ეს ადამიანი ძირთადად გერმანიაში ცხოვრობს.

15:00 საათზე გამოცხადდა შესვენება.

15:15 საათზე სხდომა განახლდა.

საბჭოს მოსაზრებით, სდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საბჭო შეთანხმდა, რომ მეხუთე სტანდარტი, რომელიც ექსპერტებს შეფასებული ქონდათ როგორც ნაწილობრივ შესაბამისი მოთხოვნებთან, სრულად

შეესაბამებოდა მოთხოვნებს. ასევე, საბჭომ აღნიშნა, რომ ვინაიდან პროგრამას აკრედიტაციის ვადა ეწურებოდა 2018 წლის 8 ოქტომბერს, საბჭო აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად მიუთითებდა 2018 წლის 8 ოქტომბერს.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ინჟინერიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3^1 პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ინჟინერიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 8 ოქტომბრიდან.

საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა. შესაბამისად, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ელიზბარ ელიზბარაშვილი. მან საბჭოს წევრებს შესთავაზა, რომ ვინაიდან შემდეგი ორი საკითხი ერთი და იგივე უნივერსიტეტისა და დარგის პროგრამებს შეეხებოდა, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა ორივე საკითხზე გამართულიყო ზეპირი მოსმენა და შემდგომ გამოეცხადებინა საბჭოს გადაწყვეტილება თითოეულ მათგანზე. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს დამსწრე წევრებმა.

2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ფილოლოგია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფილოლოგიის ბაკალავრი - 1005
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფილოლოგია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფილოლოგიის დოქტორი - 1005
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა

დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე და მესამე საკითხების შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე რამაზ ქურდაძე და ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ირინა ლობჟანიძე პროგრამის შესახებ სასაუბროდ სხდომაზე ჩაერთვებოდნენ სკაიპის მეშვეობით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო ძირითადი რეკომენდაციები საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით:

- პროგრამასა და სილაბუსებში ორი განსხვავებული თვალსაზრისის სრულყოფილ თანაბარ ნაწილებად წარმოდგენას: ერთი, რომლის მიხედვითაც ქართველური ენები დამოუკიდებელი, მაგრამ მონათესავე ენობრივი სისტემებია და მეორე - ქართველური ენები ქართველური ქვესისტემებია;
- უცხო ენების კურსების საათობრივი რაოდენობის გათანაბრებას ენის ცოდნის შესაბამისი დონის უზრუნველყოფის მიზნით;
- სხვა ენებისათვის (გერმანული, ფრანგული და რუსული) დარგობრივი უცხო ენის კურსების შემოღებას ან იმის გათვალისწინებით, რომ თარგმანმცოდნეობის ბლოკი ისედაც გაუქმებულია, საერთოდ გაუქმდეს დარგობრივი ინგლისური ენის კურსები;
- თარგმანმცოდნეობის მიმართულებით შემოთავაზებული კურსების გადასინჯვასა და დახვეწას შესაბამისი სპეციალისტის ჩამოყალიბების მიზნით;
- მაშინ პროგრამას მეგრულის, ლაზურის, სვანურის პრაქტიკულად შემსწავლელი კურსების დამატებას, „ქართველური დიალექტოლოგიის" კურსში თუ მეგრული, ლაზური, სვანურიც იგულისხმება, რადგან მათი პრაქტიკულად ცოდნის გარეშე შეუძლებელია სტუდენტმა დაამუშაოს ექსპედიციებში მოპოვებული მასალა, თუ არა - მაშინ დამატებით განიმარტოს, რა იგულისხმება ქართველურ ქვესისტემებში;
- შეფასების სქემის მორგება-მისადაგების საჭიროებას საგნის სპეციფიკაზე, რითიც თავიდან იქნება აცილებული უნიფიცირებული შეფასების სისტემა;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივიდან გამომდინარე პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული კომპონენტის გაზრდას კურსებსა და სილაბუსებში;
- სილაბუსებში ჩადებული თეორიული ხასიათის ინფორმაციის დახვეწას საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე;
- უცხო ენის შესწავლაზე ორიენტირებული საათობრივი ჩარჩოს დახვეწას;
- სავალდებულო ლიტერატურისა და სხვა სასწავლო რესურსების შესახებ ინფორმაციის განახლებასა და დახვეწას;
- სტუდენტთა პრაქტიკული უნარების დახვეწის მიზნით საველე ენათმეცნიერებასთან ასოცირებული საერთაშორისო სტანდარტების ჩადებას ექსპედიციების შედეგად მოპოვებული მასალის ანალიზის დროს (მაგალითად, როგორიცაა საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი, ლაიპციგის გლოსირების წესები და სხვ.);
- განმეორებითი გამოცდების ჩაბარების სქემის დარეგულირებას;

- სტუდენტთა ინფორმირებისთვის სასწავლო კურსების სილაბუსებში ინფორმაციის მოთავსებას როგორც კონსულტაციების, ასევე, კონსულტაციებისთვის განსაზღვრული საათების შესახებ;
- პერიოდულად დასაქმების გრაფიკისა და დატვირთვის სქემების შეჯერებას სხვა უსდ-ებში დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოვლენის მიზნით და გადაფარვების აღმოჩენის შემთხვევაში ასევე პერიოდულად სამუშაო გრაფიკის მოქნილობის დარეგულირებას, რათა საფრთხე არ შეექმნას პროგრამის მდგრადობის და მის კონკურენტუნარიანობას;
- თანამშრომლობის გაუმჯობესებას აკადემიურ პერსონალსა და ბიბლიოთეკას შორის, ლიტერატურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;
- გარე ხარისხის შეფასების დროს გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებას პროგრამის სრულყოფისათვის;
- ხარისხის უზრუნველყოფის მრავალფეროვანი მექანიზმების გამოყენებას პროგრამის მონიტორინგისათვის და სტუდენტთა გამოკითხვების პერიოდულობის უზრუნველყოფა;
- დამსაქმებლების ჩართულობის დახვეწასა და გაუმჯობესებას პროგრამის შეფასების პროცესში დასაქმებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების გაცემის მიზნით.

რაც შეეხება სადოქტორო პროგრამას რეკომენდაციები შეეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- კვლევების პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით პროგრამით განსაზღვრული სამი სამეცნიერო ნაშრომიდან ერთ-ერთის გამოქვეყნების საჭიროებას საერთაშორისო რეცენზირებად ან/და რეფერირებად/იმპაქტ ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში/შრომებში ან უცხოეთის სამეცნიერო გამოცემებში, რომლებიც შესულია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (EBSCO, SCOPUS და ა.შ.);
- სილაბუსებში ლიტერატურისა და თარგმანთმცოდეობის კვლევის მეთოდოლოგიის შესწავლაზე ორიენტირებული თემატიკის შემოღებას;
- კვლევითი, ასევე სწავლების მეთოდოლოგიის სწავლებაზე ორიენტირებული კურსების შინაარსის დახვეწას;
- სილაბუსებში მითითებული თემატიკისა და ლიტერატურის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გადახედვასა და გამდიდრებას;
- სილაბუსების გათავისუფლებას შედეგების ნაწილობრივი დუბლირებისაგან;
- პროგრამისა და სილაბუსების გადახედვის პროცესში დაინტერესებული პირების ჩართულობის ხარისხის ამაღლებას;
- არჩევითი კურსებისათვის მკაფიო წინაპირობების შემუშავებას დოქტორანტების შესაძლო მიმარულებების გათვალისწინებით;
- სავალდებულო კურსების შინაარსის დახვეწას დოქტორანტების შესაძლო მიმართულებების გათვალისწინებით;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის ქართული ენის ცოდნის დონის შემამოწმებელი ტესტირება-გამოცდის ჩატარებას უცხო ქვეყნის მოქალაქის კანონით დადგენილი წესით უგამოცდოდ პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევებისათვის;

- შესაბამისი კურსებისათვის მკაფიო წინაპირობების შემუშავებას დოქტორანტების შესაძლო მიმარულებების გათვალისწინებით;
- სავალდებულო კურსების შინაარსის დახვეწას დოქტორანტების შესაძლო მიმართულებების გათვალისწინებით;
- შეფასების სქემის მორგება-მისადაგებას საგნის სპეციფიკაზე უნიფიცირებული შეფასების სისტემის თავიდან აცილების მიზნით;
- ინტერნაციონალიზაციის დონის გაძლიერებას;
- ინტერნაციონალიზაციის დონის ამაღლების გამო, დოქტორანტების მოტივაციის გაზრდას (საზღვარგარეთ) საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების მიზნით;
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის დონის გაზრდის საჭიროებას;
- სასწავლო კურსების შეფასების სქემების გადახედვასა და გამდიდრებას;
- სასწავლო კურსების სილაბუსებში კონსულტაციების განსაზღვრული საათების შესახებ ინფორმაციის მოთავსებას;
- დასაქმების გრაფიკისა და დატვირთვის სქემების შეჯერების საჭიროებას სხვა უსდ-ებში დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოვლენის მიზნით და გადაფარვების აღმოჩენის შემთხვევაში ასევე პერიოდულად სამუშაო გრაფიკის მოქნილობის დარეგულირებას, რათა საფრთხე არ შეექმნას პროგრამის მდგრადობის და მის კონკურენტუნარიანობას;
- თანამშრომლობის გაუმჯობესებას აკადემიურ პერსონალსა და ბიბლიოთეკას შორის, ლიტერატურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დონის ამაღლების მიზნით დოქტორანტურის სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდების საჭიროებას იმ ონლაინ-რესურსების შესახებ, რომლებზეც წვდომას უნივერსიტეტის უზრუნველყოფს;
- დამსაქმებლების ჩართულობის დახვეწასა და გაუმჯობესებას პროგრამის შეფასების პროცესში დასაქმებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების გაცემის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა უნივერსიტეტის წარმომადგენელს და სთხოვა პირველ რიგში ესაუბრა საბაკალავრო პროგრამის შესახებ.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ჩატარებული შეფასებისათვის. იგი შეეხო რეკომენდაციას დასაქმების გრაფიკისა და დატვირთვის სქემების შეჯერების შესახებ და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში არსებობს დატვირთვის სქემა რომელიც არეგულირებს პროფესორის მუშაობას და მასში ნახსენებია ის შემთხვევაც, თუ პროფესორი რომელიმე სხვა უნივერსიტეტში აფორმებს კონტრაქტს. ასეთ შემთხვევაში, მისი შენიშვნით, პროფესორი ვალდებულია ორი კვირის ვადაში აცნობოს უნივერსიტეტს. უნივერსიტეტი აძლევს გარკვეულ თავისუფლებას პროფესორებს ამ მიმართულებით, არაუმეტეს 6 საათისა კვირაში. მისი თქმით, ეს სქემა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეც.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა უნდა იყოს თუ არა პროფესორი უნივერსიტეტში 8 საათი დღეში.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროფესორმა უნივერსიტეტში უნდა გაატაროს 40 საათი კვირაში და დაამატა, რომ დაინტერესების შემთხვევაში უფრო დეტალურად დატვირთვის სქემის გაცნობა ვებ-საიტზე იყო შესაძლებელი.

საბჭოს წევრმა იკითხა, თუ რა მდგომარეობა იყო უნივერსიტეტში მოწვეული პროფესორების მიმართულებით.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი იწვევს პროფესორებს მხოლოდ იმ დატვირთვით რა საჭიროებაც არსებობს კონკრეტულ საგნებთან დაკავშირებით.

აბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ ექსპერტების რეკომენდაცია უფრო მეტად შეეხებოდა არა უნივერსიტეტის პროფესორების მიწვევას სხვა უსდ-ებში, არამედ თავად უნივერსიტეტში მომუშავე მოწვეულ პერსონალს, იმ მიზნით, რომ პროგრამის მდგრადობას არ შეექმნას პრობლემა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სავალდებულო საგნებს უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალით, მოწვეული პროფესორები კი ძირითადად არჩევით და მრავალფეროვნების შემომტან საგნებში ჰყავთ. მან აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მდგრადობასთან დაკავშირებით პრობლემა არ აქვს უნივერსიტეტს.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა, თუ როგორი თანაფარდობა იყო უნივერსიტეტში აკადემიურ და მოწვეულ პროფესორებს შორის.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მისი აზრით დაახლოებით 1/3 არის აკადემიური პერსონალი, 2/3 კი მოწვეული პროფესორები.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ შენიშნა, რომ უნივერსიტეტს თვითშეფასებაშიც უნდა ჰქონოდა მითითებული ის, თუ როგორი თანაფარდობაა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს არის კიდეც გაწერილი თვითშეფასების ანგარიშში.

საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა შენიშნა, რომ მნიშვნელოვანია არამარტო თანაფარდობა არჩევით და სავალდებულო საგნებს შორის, არამედ თავად დარგის ძირითად საგნებში აკადემიური პერსონალის ყოლა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საუბარი განაგრძო რეკომენდაციის შესახებ, რომელიც ეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებსა და სტუდენტთა გამოკითხვების პერიოდულობას. მან აღნიშნა, რომ ექსპერტმა ვიზიტზე განაცხადა, რომ იგი იმ დღეს გაეცნო მოცემულ დოკუმენტაციას. მისი თქმით, სააკრედიტაციო განაცხადს თან ახლდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი არამარტო სტუდენტების, არამედ პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვის პერიოდულობა. მისი თქმით, სასწავლო კურსების შეფასება ხდება სემესტრის ბოლოს. ორ წელიწადში ერთხელ ხდება სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევა, ხოლო ყოველ წელს ხდება სასწავლო კურსებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი. შემდეგ, უნივერსიტეტის წარმომადგენელი შეეხო რეკომენდაციას სილაბუსებში კონსულტაციების შესახებ ინფორმაციის მოთავსების შესახებ. მან აღნიშნა, რომ როგორც წესი სილაბუსებში არ წერენ უნივერსიტეტში კონსულტაციების შესახებ ინფორმაციას, რადგან ეს გრაფიკი მისი თქმით იცვლება სემესტრიდან

სემესტრამდე. მან შენიშნა, რომ შესაძლებელია ვიზიტის მომენტისათვის კონსულტაციების სია არ იყო გამოკრული, თუმცა ახლა ის უკვე ნამდვილად გამოკვრულია.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ იკითხა, თუ როგორ ხდება სტუდენტების ინფორმირება საკონსულტაციო საათების შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელის მიხედვით, ინფორმაცია საკონსულტაციო საათების შესახებ გამოკვრულია უნივერსიტეტში.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ იკითხა, ჰქონდათ თუ არა უნივერსიტეტში ინტრანეტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს უკვე მრავალფუნქციური ელექტრონული ბაზა სტუდენტებისათვის, უბრალოდ მასში ჯერ არ არის გაწერილი კონსულტაციების საათები.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ შენიშნა, რომ უნივერსიტეტის სხვა პროგრამაზეც იყო იდენტური შენიშნვა და ურჩია, რომ შემდეგი გართულებების ასაცილებლად ჩაეწერათ სილაბუსში საკონსულტაციო საათები.

საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა აღნიშნა, რომ შეუძლებლად მიაჩნია წლებზე გათვლილ სილაბუსში კონსულტაციების განრიგის გაწერა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჩაწერის შემთხვევაში სილაბუსის ყოველ-სემესტრული ცვლილების საჭიროება დადგებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელი შეეხო უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის ქართული ენის ცოდნის დონის შემოწმების საკითხს. მან შენიშნა, რომ პროგრამის წინაპირობებში ნამდვილად არ არის ეს საკითხი ნახსენები, თუმცა დაამატა, რომ ეს საკითხი მკაფიოდაა გაწერილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. მან თქვა, რომ უნივერსიტეტი უფლებას იტოვებს, რომ სტუდენტს ჩაუტარონ ენის ტესტი.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა, ჰყავდა თუ არა უნივრსიტეტს უცხოელი სტუდენტები ამ ეტაპზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამ ეტაპზე, არა თუმცა მისი თქმით არსებობს ტესტის ჩატარების პრეცედენტი.

დაწესებულების წარმომადგნელემა აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესში ჩართულ ყველა ადამიანს ესმის ის, რომ ეს უნდა იყოს უწყვეტი პროცესი. მან თქვა, რომ აქამდე არსებობდა გარკვეული ჯგუფები, რომლებიც განსაზღვრავდნენ ენის ცოდნის დონეს, თუმცა მათ შორის არ იყო კოორდინაცია. მისი თქმით, უნივერსიტეტმა მოახერხა ამ ჯგუფების დაკავშირება და უახლოეს მომავალში მოხდებოდა სახელმწიფო ენის დონის განსაზღვრა, რადგან, მისი შენიშვნით, ეს არა მხოლოდ უცხოელების, არამედ საქართველოს უცხოენოვანი მოქალაქეების ინტერესებშიც იყო. მან ასევე ახსენა ინტერნაციონალიზაციის საკითხი და აღნიშნა, რომ ეს ჰუმანიტარული დარგისათვის პრობლემური საკითხია. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი აპირებს მემორანდუმების გაფორმებას სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და საერთო გამოცემების უზრუნველყოფასაც.

საბჭოს წევრმა გელა გელაშვილმა იკითხა, თუ რა მოთხოვნები აქვს დაცვის საბჭოს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნდა იყოს გამოქვეყნებული 3 სტატია რეფერირებად ჟურნალებში, თუმცა დაამატა, რომ არ არის მითითებული სავალდებულოდ უცხოენოვან ჟურნალში გამოქვეყნება.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა იკითხა, თუ რამდენად ითვლება სამეცნიერო პუბლიკაციებად არასამეცნიერო ჟურნალებში, მაგალითად „ცისკარში" გამოქვეყნებული ნაშრომები.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ წარსულში სერიოზულად იდგა ეს პრობლემა, თუმცა დღეს სტანდარტმა აიწია და უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს ჟურნალების წრე, რომლებშიც გამოქვეყნებული სტატია შეიძლება ჩაითვალოს სამეცნიერო პუბლიკაციად.

საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა შენიშნა, რომ მოცემულ დარგში ქართულენოვან და, თუნდაც, სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში დაბეჭდილი სტატია შეიძლება ბევრად უფრო სასარგებლო და მნიშვნელოვანი იყოს დარგისათვის, ვიდრე უცხოურში. გასათვალისწინებელია, პირველ რიგში, არა პუბლიკაციის ადგილი, არამედ შინაარსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა შენიშნა, რომ უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს სტატიების სია, რომლებშიც შესაძლებელია გამოქვეყნება დოქტორანტებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე შენიშნა ისიც, რომ უნივერსიტეტი სამაგისტრო საფეხურზე სთავაზობს სვანური, ლაზური და მეგრული ენების კურსებს. ამასთან ერთად, მისი თქმით სტუდენტს შეუძლია ისწავლოს სპარსული ან თურქული ენებიც. მან აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი დიდწილად ქართველური ენების გადასარჩენადაა მოწოდებული. ის ასევე შეეხო რეკომენდაციას პროგრამასა და სილაბუსებში ორი განსხვავებული თვალსაზრისის სრულყოფილ თანაბარ ნაწილებად წარმოდგენის შესახებ და აღნიშნა, რომ ეს თავად უნივერსიტეტის ინტერესებშიცაა და დაამატა, რომ უკვე ხდება ამ თვალსაზრისების თანაბრად მიწოდება.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ იკითხა, თუ რატომ დაებადა ექსპერტს ასეთი აზრი, თუ უკვე ხდება ორი თვალსაზრისის თანაბრად მიწოდება.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ შეუძლია აჩვენოს სილაბუსი, სადაც ცხადადაა ასახული მისი ნათქვამი, ხოლო ექსპერტის პოზიციის ახსნას ის თავად ვერ შეძლებდა.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა იკითხა აქვს თუ არა უნივერსიტეტს ჩამონათვალი იმ სამეცნიერო ჟურნალებისა, სადაც შესაძლებელია დოქტორანტმა გამოაქვეყნოს სტატია.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აქვს უნივერსიტეტს ასეთი სია.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა დასვა კითხვა თარგმანმცოდნეობის ბლოკის შესახებ, რამდენადაც ექსპერტი ერთი მხრივ, სთავაზობს ბლოკის გაუქმებას, მეორე მხრივ კი მოდერნიზებას. რამ განაპირობა ეს და რა არის უნივერსიტეტის პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ წინა პროგრამაში წარმოდგენილი იყო თარგმანცმოდნეობის მოდული და მას ირჩევდნენ ის სტუდენტები, რომლებმაც იცოდენენ ინგლისური ან რუსული B2 დონეზე. მან აღნიშნა, რომ ახალ პროგრამაში ეს მოდული მოიხსნა და მისი საგნები გადავიდა არჩევითი საგნების ბლოკში, რომელსაც აირჩევს ის სტუდენტი, რომელმაც იცის უცხო ენა B2 დონეზე.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ იკითხა, აქვთ თუ არა სტუდენტებს საშუალება აირჩიონ ფართო განათლების მიმცემი არჩევითი საგნები საბაკალავრო დონეზე, მაგალითად ფსიქოლოგია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტს აქვს 60 კრედიტი იმისათვის, რათა აირჩიოს ნებისმიერი პროგრამის საგნები.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ ასევე აღნიშნა, რომ საგამომცემლო საქმის საფუძვლებს აკლია ბიუჯეტირების ნაწილი.

დაწესებულების წარმომადგენელი შეეხო რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა ლიტერატურისა და თარგმანთმცოდეობის კვლევის მეთოდოლოგიის შესწავლას. მისი თქმით, დარგობრივ საგნებს სტუდენტებს ასწავლიან თავისი მეთოდოლოგიით. მისი თქმით, საგნები კვლევის მეთოდები და სადისერტაციო ნაშრომის ორგანიზაცია, არის აკადემიური წერის გართულებული ვარიანტი.

საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა შენიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით იგრძნობა ერთი თვალსაზრისის უპირატესობა, რისი გამოსწორებაც შესაძლებელი იქნებოდა პროგრამაში თეორიული თუ მეთოდოლოგიური საგნების დამატებით. სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით კი მან აღნიშნა, რომ პრინციპულად ეთანხმება უნივერსიტეტის პოზიციას, ასწავლონ ფილოლოგიის ის მიმართულებები, რომლებშიც ჰყავთ წამყვანი პროფესორები. სადოქტორო სემინარის სილაბუსებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ საკითხების ჩამონათვალი და ლიტერატურა შედარებით დაბალი საფეხურის შესაბამისად მოეჩვენა, თუმცა სილაბუსიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ დოქტორანტებს მეტი აკადემიური თავისუფლება აქვთ და, სავარაუდოდ, პრაქტიკულად ეს სემინარები სადოქტორო დონეზე ხორციელდება. მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს, უფრო დეტალურად აღეწერათ, თუ როგორ ფუნქციონირებდა ეს საგნები პრაქტიკაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სადოქტორო საფეხურზე არ ტარდება წერითი გამოცდები, არამედ კეთდება რამდენიმე პრეზენტაცია მიმართულების პროფესორების წინაშე. მისი შენიშვნით, პრეზენტაცია ხდება არა მხოლოდ დისერტაციის შესახებ, არამედ საგნების თემატიკასთან დაკავშირებით.

16:00 საათზე გამოცხადდა შესვენება.
16:20 საათზე სხდომა განახლდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3[1] პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27[6] მუხლის პირველი პუნქტის

„ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას ექსპერტთა ჯგუფისა და საბჭოს წევრების მხრიდან მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 1 წელი.

სხდომის თავმჯდომარემ ასევე განაცხადა, რომ საბჭო შუამდგომლობდა ცენტრის წინაშე, რომ 1 წლის ვადაში განხორციელებულიყო პროგრამის მონიტორინგი იმ მიზნით, რომ გადამოწმებულიყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულება დაწესებულების მხრიდან.

სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში, სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საბჭო შეთანხმდა, რომ მეორე სტანდარტი, რომელიც ექსპერტებს შეფასებული ქონდათ როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან, ნაწილობრივ შეესაბამებოდა მოთხოვნებს.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის წელიწადნახევრის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 1

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-3^2 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლისა და 6 თვის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შესთავაზა, რომ ვინაიდან შემდეგი ორი საკითხი ერთი და იგივე უნივერსიტეტისა და დარგის პროგრამებს შეეხებოდა , ხომ არ ჯობდა ორივე საკითხზე გამართულიყო ზეპირი მოსმენა და შემდგომ გამოეცხადებინა საბჭოს გადაწყვეტილება თითოეულ მათგანზე. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს დამსწრე წევრებმა.

4. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი - 02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

5. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი - 02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშებს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს

წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ძირითადი რეკომენდაციები. საბაკალავრო პროგრამის შესახებ რეკომენდაციები შეეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- პროგრამის სავალდებულო საბაზისო სასწავლო კურსებზე: „მარკეტინგის საფუძვლები", „ფინანსების საფუძვლები" და ,,საბანკო საქმის საფუძვლები" დაშვების შეზღუდვების მოხსნას, რაც ხელს შეუწყობდა სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების ხარისხის გაზრდას და აღნიშნულ დისციპლინებს გახდიდა მეტად ხელმისაწვდომს უნივერსიტეტის სხვა პროგრამების სტუდენტებისათვის;
- საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესში საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობის დაკონკრეტებას, პროგრამის სავალდებულო კრედიტების სრულად ათვისების დათქმით;
- პროგრამის სპეციალობის მოდულების გაძლიერებას, კერძოდ მენეჯმენტის სპეციალობის მოდულში ,,რისკ-მენეჯმენტის" სასწავლო კურსის, ხოლო ფინანსების მოდულში „ფინანსური ინსტიტუტებისა და ბაზრების" სასწავლო კურსის დამატებას;
- საბაკალავრო კვლევითი პროექტი/ნაშრომის შესრულების წესში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებას, კერძოდ იმას, რომ დასკვნით შეფასებასთან ერთად წესი უნდა ითვალისწინებდეს შუალედურ შეფასებასაც;
- სასწავლო კურსის „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში" სახელწოდების კორექტირებას მისი შინაარსიდან გამომდინარე მაგ. როგორც ,,ინფორმატიკის საფუძვლები" ან კურსის შინაარსის მეტად მორგებას „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში" სპეციფიკას;
- უნივერსიტეტის მხრიდან მეტი გასვლითი ლექციების ორგანიზებას სხვადასხვა ორგანიზაციებში ან სპიკერების მოწვევას წარმატებული კომპანიებიდან ღია ლექციების, მასტერკლასების ჩასატარებლად;
- უნივერსიტეტმის მიერ მუშაობის გაძლიერებას საერთაშორისო სტუდენტების საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებში ჩართვის მიმართულებით;
- უნივერსიტეტის მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის გაძლიერებას და მათი სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განვითარების ხელის შეწყობას საერთაშორისო მიმართულებით;
- სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის სტუდენტთა გამოკითხვების ყოველი სემესტრის ან ყოველი წლის ბოლოს ჩატარებას აკადემიური/მოწვეული პერსონალის შესახებ.

სამაგისტრო პროგრამის რეკომენდაციები შემდეგ საკითხებს შეეხებოდა:

- სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქციაში სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობების დაკონკრეტებას ანუ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წინაპირობად პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კრედიტების ათვისების დასახვას;
- ,,მენეჯერული ეკონომიკის" სასწავლო კურსის წინაპირობის დამტკიცებას;
- პროგრამის არჩევითი მოდულის სახელწოდების „უძრავი ქონების ადმინისტრაცია" კორექტირებას ან მოდულში მიწის გარდა სხვა უძრავი ქონების (შენობები, ნაგებობები და ა.შ) ადმინისტრირების საკითხების გათვალისწინებას;
- სასწავლო კურსის „სამეცნიერო წერის საბაზისო უნარები" სწავლებას პირველ სემესტრში, რათა სტუდენტებმა უკეთ შეძლონ მეორე სემესტრიდან მისი პრაქტიკულად გამოყენება რეფერატების წერის დროს;
- სასწავლო კურსის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება" სახელწოდების კორექტირებას, რათა მოხდეს მისი გამიჯვნა პროგრამის სავალდებულო დისციპლინების მოდულში არსებული სასწავლო კურსის „ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება" სახელწოდებისაგან;
- სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისას კონტროლის გამკაცრებას სამაგისტრო (ნაშრომის) დისერტაციის მომზადების ინსტრუქციის მოთხოვნების დაცვაზე;
- უნივერსიტეტის მიერ მუშაობის გაძლიერებას სტუდენტების საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებში ჩართვის მიმართულებით;
- უნივერსიტეტის მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის გაძლიერებასა და მათი სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას საერთაშორისო მიმართულებით;
- სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის სტუდენტთა გამოკითხვების ყოველი სემესტრის ან ყოველი წლის ბოლოს ჩატარებას აკადემიური/მოწვეული პერსონალის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბაკალავრო პროგრამის შესახებ აღნიშნა, რომ პროგრამა აღმოჩნდა კონკურენტუნარიანი, გარკვეული სირთულეების მიუხედავად. მისი თქმით, პროგრამამ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროგრამებს გაუწია კონკურენცია.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა იკითხა, თუ რამდენი მოქმედი სტუდენტია პროგრამაზე.

აწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 4-ვე კურსზე საერთო ჯამში 65 სტუდენტი სწავლობს. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამას საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს დასაქმების მიმართულებით და მისი თქმით, პროგრამის ზოგიერთი კურსდამთავრებული უკვე თავად იქცა დამსაქმებლად. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა პოპულარულია უცხოელოვან სტუდენტებშიც, რომელთა რაოდენობაც დაახლოებით 50-ია და ისინი ძირითადად აზერბაიჯანის მოქალაქეები არიან.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი იზიარებს რეკომენდაციების უმრავლესობას. რეკომენდაციის შესახებ, რომელიც ეხებოდა „მარკეტინგის საფუძვლებზე", „ფინანსების საფუძვლებსა" და ,,საბანკო საქმის საფუძვლებზე" დაშვების შეზღუდვების მოხსნას, მან აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა თუ ამ კურსების არჩევა შესაძლებელი იქნებოდა სხვა პროგრამების სტუდენტებისათვისაც, თუმცა მან ისიც დაამატა, რომ ფინანსების საფუძვლები საბუღალტრო აღრიცხვის წინაპირობაა და მთელი რიგი ფინანსური საკითხების ცოდნა საჭიროა, რათა შემდეგ გაგრძელდეს ამ მიმართულებით ცოდნის გაღრმავება. რაც შეეხება რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა რამდენიმე კურსის დამატებას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ისწავლება სტრატეგიული მართვა და კორპორაციული ფინანსები, რომლებშიც არის რისკების მართვის საკითხები განხილული, ხოლო ფინანსური ინსტიტუტებისა და ბაზრების საკითხები მოცულია საბანკო საქმის საფუძვლებში, ასევე მისი თქმით მე-8 სემესტრში შეთავაზებულია კურსი: ფასიანი ქაღალდების ბაზარი. მისი თქმით, უნივერსიტეტის წარმომადგენლები ცდილობდნენ, რომ არ მომხდარიყო გარკვეული საკითხების განმეორება. რაც შეეხება რეკომენდაციას ინფორმატიკის კურსის სახელწოდების გადარქმევის შესახებ, მან აღნიშნა, რომ ნამდვილად შესაძლებელია, რომ კურსს დაერქვას ინფორმატიკის საფუძვლები.

რეკომენდაციის შესახებ, რომელიც ეხებოდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებას, მისი თქმით იგი უნივერსიტეტის მხარდაჭერით მონაწილეობდა ტრენინგში მოცემულ თემატიკაზე და აპირებდა გამოეყენებინა მიღებული ცოდნა სწავლების პროცესში. მისი თქმით უპრიანი იქნებოდა ბაკალავრებისათვის ესწავლებინათ მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საკითხები, ხოლო მაგისტრებისათვის უფრო დიდი საწარმოებისა.

რეკომენდაციის შესახებ, რომელიც ეხებოდა სამეცნიერო წერის საბაზისო უნარების კურსის სწავლებას პირველ სემესტრში, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ თავი შეიკავეს ამ კურსის პირველ სემესტრში სწავლებისაგან, თუმცა მისი თქმით უნივერსიტეტი მზად იყო საჭიროების შემთხვევაში ამ რეკომენდაციის გამოყენებისათვის. მისი თქმით, უნივერსიტეტი მონაწილეობს „ინთეგრითის" პროექტში, რომელიც ეხებოდა მოცემულ საკითხს და მისი თქმით, უნივერსიტეტი საკმაოდ წინ წავიდა ამ მიმართულებით პროექტის დახმარებით. რაც შეეხება რეკომენდაციებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ჩართულობის შესახებ საერთაშორისო პროექტებში, მან აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით იყო ენის ბარიერი, თუმცა ახლა მათ მაგისტრატურის პროგრამაზე დააწესეს ინგლისური ენის B-2 ბარიერი.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა იკითხა, თუ როგორ ამოწმებდნენ უნივერსიტეტში უცხო ენის ცოდნას.

უნივერსიტეტის წარმომადგენლების თქმით, ისინი ან ენის სერტიფიკატს ითხოვდნენ, ან თავად უტარებდნენ აპლიკანტებს შიდა გამოცდას. მისი თქმით, უნივერსიტეტში საგრძნობლად გაუმჯობესდა ინგლისური ენის ცოდნა და პროგრამას ჰყავს ახალი პერსონალი, რომელსაც ინგლისურ ენაზე აქვს განათლება მიღებული.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა შენიშნა, რომ როგორც წესი, როდესაც სამაგისტრო პროგრამას უფრო მაღალი შეფასება აქვს, ვიდრე საბაკალავროს, ეს იმას მიუთითებს, რომ უნივერსიტეტში პერსონალის ნაკლებობაა და სთხოვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს დაეკონკრეტებინათ, თუ რა რაოდენობის აკადემიური და მოწვეული პერსონალი ემსახურებოდა საბაკალავრო პროგრამას.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, 23 ადამიანი იყო ჩართული საბაკალავრო პროგრამაში, მათ შორის 3 მოწვეული. სამაგისტროზე კი 16, მათ შორის 6 მოწვეული.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში გაუმჯობესებულია ინგლისური ენის სწავლების დონე.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ იკითხა არის თუ არა სამცხე-ჯავახეთის რეგიონი კურსდამთავრებულთა ძირითადი დასაქმების არეალი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასაქმების ძირითადი გეოგრაფიული არეალი ნამდვილად ჯავახეთის რეგიონი იყო, თუმცა ზოგიერთი კურსდამთავრებული სხვა რეგიონებშიც იყო დასაქმებული.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამა უფრო მეტად პასუხობდა ბიზნესის სტანდარტებს, თუმცა დაამატა, რომ ძალიან ბევრი საგნები აქვს უნივერსიტეტს შეთავაზებული. მისი თქმით, არ ჩანს ბიზნესისათვის ძალიან მნიშვნელოვანი პრაქტიკული მეცადინეობები და პროგრამა კონცენტრირებულია თეორიულ ცოდნაზე. რაც შეეხება ფინანსების სწავლებას, მან გამოთქვა აზრი, რომ პროგრამაში არ იგრძნობა ღერძი თუ კონკრეტულად რის სწავლებას ცდილობენ ამ მიმართულებით. ასევე, მან აღნიშნა, რომ მაგისტრატურის სამი მოდულის საჭიროება არ ესმოდა და განმარტა, რომ მიწისა და უძრავი ქონების რეგისტრაციის კურსის მიზანი გაუგებარი იყო მისთვის და არ ესმოდა რა კავშირი ჰქონდა ბიზნესის ადმინისტრირებასთან. მან ურჩია, რომ ემუშავათ ისეთ თემატიკაზე, რაც ახლოსაა მათ რეგიონთან. მან აღნიშნა, რომ მართებული იქნებოდა ესწავლებინათ ბიზნესის შეფასება, უძრავი ქონების საკითხების ნაცვლად და დაამატა, რომ ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა, თითქოს სახელმწიფო მოხელის განათლებაზე მეტად იყო სამაგისტრო პროგრამა კონცენტრირებული. მან აღნიშნა, რომ მაგისტრანტმა შეიძლება ისე დაამთავროს აგრობიზნესის მოდული, რომ არ ისწავლოს ფინანსები. ასევე, მან აღნიშნა, რომ რეგიონის თავისებურებებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი შეიძლებოდა ყოფილიყო პროგრამაში მარკეტინგისა და საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის სწავლება, რადგან მისი თქმით, საკუთარი გამოცდილებით იცოდა, რომ ადგილობრივ ფერმერებს სურთ ევროპულ ბაზარზე შესვლა. მისი თქმით, ზოგადად ბაკალავრიატის პროგრამა უფრო ძლიერი იყო ფინანსების მიმართულებით, ვიდრე მაგისტრატურისა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მაგისტრატურის ძირითადი კონტინგენტი მოდის ბიზნესის ბაკალავრის განათლებით, თუმცა ისინი აუცილებლად გაითვალისწინებდნენ ამ შენიშვნებს.

17:00 საათზე გამოცხადდა შესვენება.

17:20 საათზე სხდომა განახლდა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3[1] პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 9 თვე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭო შუამდგომლობდა ცენტრის წინაშე, რომ 9 თვის განმავლობაში პროგრამაზე ასევე განხორციელებულიყო მონიტორინგი და გადამოწმებულიყო შესრულდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული რეკომენდაციები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3[1] პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 9 თვე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭო შუამდგომლობდა ცენტრის წინაშე, რომ 9 თვის განმავლობაში პროგრამაზე ასევე განხორციელებულიყო მონიტორინგი და გადამოწმებულიყო შესრულდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული რეკომენდაციები.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს თავმჯდომარე - ირაკლი ბურდული და შესაბამისად მან განაგრძო სხდომის ხელმძღვანელობა.

6. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	1. ხელოვნების ბაკალავრი აუდიო-ვიზუალურ ხელოვნებაში - 0801 2. ხელოვნების ბაკალავრი მედია ხელოვნებაში - 0802
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განსახილველ საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება, ვინაიდან ის საქმიანობდა აკრედიტაციის მაძიებელ უნივერსიტეტში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ძირითადი რეკომენდაციების წაკითხვამდე აღნიშნა, რომ პროგრამა მთლიანობაში იყო დადებითად შეფასებული და რეკომენდაციები ეხებოდა მხოლოდ მეორე სტანდარტს, შემდეგ კი საბჭოს გააცნო შემდეგი რეკომენდაციები:

- „აუდიო-ვიზუალური ხელოვნების“ მიმართულებაში მე-8 სემესტრის პრაქტიკული კომპონენტის შემოქმედებითი ნაწილის სტუქტურაში მოცემული ფილმების ჩამონათვალის განზოგადებას - ჟანრობრივი დაყოფის მოხსნასა და „10-15 წუთიანი ფილმი ან ტრანსმედია პროექტი“ განსაზღვრას.

- არსებული „პრაქტიკული კომპონენტის“ სამუშაო ინსტრუქციის უცვლელად შენარჩუნების შემთხვევაში „აუდიო-ვიზუალური ხელოვნების“ მიმართულების კურიკულუმში საგნების დამატების საჭიროებას, ანდა „მხატვრული მოკლემეტრაჟიანი ფილმის რეჟისურის“ არსებული კურსის გაფართოება-გაღრმავებასა და კრედიტების/საათების გაზრდას.
- პირველი ა) რეკომენდაციის მიღების შემთხვევაში, „პრაქტიკული კომპონენტის“ სამუშაო ინსტრუქციის გაწერას მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად, უფრო ზოგადი ფორმულირებით, ვიდრე არის მოცემული პრაქტიკული კომპონენტის სამუშაო ინსტრუქციაში.
- ორივე მიმართულებაში „პრაქტიკული კომპონენტის“ სილაბუსის საკონტაქტო, სტუდიური, ინდივიდუალური საათების რაოდენობის გაწერას რეალურად განხორციელებული სამუშაოების მიხედვით. კარგი იქნება, თუ სილაბუსში შეიცვლება პროპორცია საკონტაქტო და ინდივიდუალურ/დამოუკიდებელ საათებს შორის და მიუახლოვდება კრედიტების შესაბამის გონივრულ საკონსულტაციო დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა უკვე საკმაოდ დიდი ხანია ფუნქციონირებს უნივერსიტეტში და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციებისათვის, რომელთა შესახებაც, როგორც თავად აღნიშნა, უკვე არის უნივერსიტეტში ნაფიქრი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წელს უნივერსიტეტს ჰყავდა პირველი კურსდამთავრებულები და მისი თქმით, გამოჩნდა, რომ არსებული პრაქტიკა მუშაობს. იმ რეკომენდაციის შესახებ, რომელიც ეხებოდა აუდიო-ვიზუალური ხელოვნების პრაქტიკულ კომპონენტს, მან აღნიშნა, რომ პრაქტიკულ კომპონენტში უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს კინოს 4 ჟანრი, რაც გულისხმობს ექსპერიმენტულ კინოს და კურსის ბოლოს სტუდენტები ამზადებენ 15 წუთიან ფილმს, რომელიც ექსპერიმენტის სახით მოიცავს სხვადასხვა ჟანრების გაერთიანებას. მისი თქმით, ეს პრაქტიკა ასახავს დარგის თანამედროვე ტენდენციებს და ამ პრაქტიკაზე დადებითად მოქმედებს პრაქტიკოსი ლექტორების პირადი გამოცდილებაც. მან აღნიშნა, რომ პრაქტიკული კომპონენტი მოიცავს მხატვრულ ფილმსაც, თუმცა მისი თქმით აქ არ იგულისხმება კლასიკური გაგებით მხატვრული მოკლემეტრაჟიანი ფილმი, არამედ მოიცავს ჟანრობრივ მრავალფეროვნებას. მისი თქმით, ესეც დიდწილად პასუხობს თანამედროვე ტენდენციებს და უნივერსიტეტი ცდილობს უპირატესობა თვითგამოხატვის ფორმებს მიანიჭოს. დოკუმენტული ფილმი, მისი შენიშვნით მოიცავს დოკუმენტური ფილმის ტენდენციებს და უნივერსიტეტის სტუდენტები უღებენ ალღოს მას და არსებულ რეალობას საინტერესოდ ასახავენ. რაც შეეხება ტრანსმედია პროექტს, რომელიც თვითგამოხატვის ახალი ფორმაა, ეს უკანასკნელიც მისი შენიშვნით ასახავს ახალ ტენდენციებსა და ტრანსმედიული პროექტებით თხრობას. მისი თქმით, უნივერსიტეტში არსებული პრაქტიკა იმიტომაა საინტერესო, რომ პროგრამის თითოეული სტუდენტი თითოეულ ამ ჟანრში ახორციელებს პროექტს, ბოლოს კი ირჩევენ იმას, რომელშიც ყველაზე კომფორტულად გრძნობენ თავს. მან აღნიშნა, რომ მხატვრული ფილმის

პრერეკვიზიტები მთლიანობაში შეადგენს 71 კრედიტს და იმ შემთხვევაში თუ მხატვრულ ფილმზე სურს სტუდენტს მუშაობა, აუცილებელია ჰქონდეს ყველა პრერეკვიზიტი შესრულებული.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ შენიშნა, რომ პრერეკვიზიტები ყველა მიმართულებას უნდა სჭირდებოდეს.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა და აღნიშნა, რომ, რადგან ჟანრები დიდწილად ერთმანეთში გადახლართულია, უკვე მიღებული ცოდნა სტუდენტებს გამოადგებათ ნებისმიერი მიმართულების სადიპლომო ნაშრომზე მუშაობაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კურიკულუმში მითითებულია ის, რომ პრაქტიკული კომპონენტის ასაღებად, სტუდენტს უნდა ჰქონდეს გავლილი ყველა ძირითადი საგანი. მან აღნიშნა, რომ ექსპერტების შენიშვნების შემდეგ, უნივერსიტეტში იყო ბევრი მსჯელობა და დაამატა, რომ გარკვეული საკითხები ექსპერტებმა ვერ დაინახეს სრული სურათით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე რეჟისურის კომპონენტის დროს არის პროდიუსირების კომპონენტიც და მისი თქმით, კინოსა და პროდიუსირების კურსები ერთობლივად აკეთებენ პროექტებს, ასევე, მისი თქმით, ისეთ შემთხვევაში როდესაც არსებობს საჭიროება, პრაქტიკაში ერთვებიან მოწვეული ლექტორებიც, მაგალითად თუკი პროექტზე მუშაობისას საჭიროა სცენოგრაფია, ამ მიმართულებას სტუდენტები გადიან მოწვეულ ლექტორებთან ერთად.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა იკითხა, თუ რამდენი სტუდენტი ჰყავთ პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამ ეტაპზე მეოთხე კურსზე ჰყავთ 7 სტუდენტი, ხოლო საერთო ჯამში დაახლოებით 25.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა შენიშნა, რომ პროგრამაზე მოთხოვნა არსებობს.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კინოში მუშაობა ერთგვარად ელიტურიცაა და აღნიშნა, რომ ძალიან ცოტა უნივერსიტეტში ისწავლება აუდიო ვიზუალური ხელოვნება ჟანრობრივად. მისი თქმით, სტუდენტები ერთგვარად პრივილეგირებულებიც არიან თავიანთი შესაძლებლობებით.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა, თუ როგორ ხდება ნაშრომების შეფასება.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ როგორც წესი იმართება საერთო ჩვენება, რომელსაც ესწრებიან მოწვეული სტუმრებიც და სიტყვა პასუხის რეჟიმში მიმდინარეობს შეხვედრა. მისი თქმით, მსგავსი ჩვენებები იმართება სადიპლომო ნაშრომამდეც.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა, თუ რა მდგომარეობაა პროგრამაზე კურსდამთავრებულების დასაქმებადობის მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც პრაქტიკოსი ლექტორები თავად ასაქმებენ კურსდამთავრებულებს.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა, იგულისხმებოდა თუ არა ამაში სარეკლამო ბიზნესი.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სარეკლამო საქმიანობა დასაქმების სფეროს მხოლოდ ერთი ნაწილი იყო და მისი შენიშვნით, კურსდამთავრებულთა ნაწილი დასაქმებულია ტრანსმედია პროექტების მიმართულებითაც. მისი თქმით, უნივერსიტეტი ხელს უწყობს ფილმების ფესტივალებზე გასვლას და ასევე სტუდენტების ჩართვას ფესტივალებში, როგორც მოხალისეებისა.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა იკითხა იყო თუ არა პროგრამაში გათვალისწინებული სამეცნიერო ფილმებიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დოკუმენტური კინოს სწავლისას, სტუდენტები გარკვეულწილად სწავლობენ სამეცნიერო კინოს ნაწილსაც.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ შენიშნა, რომ პროგრამა საკმაოდ ძვირადღირებული უნდა იყოს და დაინტერესდა თუ რა წყაროდან ფინანსდება და რამდენია გადასახადი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს ნამდვილად ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული პროგრამა იყო უნივერსიტეტში და გადასახადი მასზე არის 5400 ლარი, თუმცა, მანვე შენიშნა, რომ სფეროს აქტუალურობიდან გამომდინარე, პროგრამა გარე დონორებისგანაც იღებს დაფინანსებას, მაგალითად ამერიკის საელჩოსაგან. მისი თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ უნივერსიტეტს აქვს ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სწავლის საფასური მთლიანად ჰყოფნის პროგრამის უზრუნველყოფას და მატერიალური ბაზის განახლებასაც. მისი თქმით, ეს არ არის დოტაციური პროგრამა და პირიქით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემომტანია უნივერსიტეტისათვის.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ იკითხა, ხდება თუ არა თავისუფალი მეცნიერებების ცოდნის მიწოდება.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ თავისუფალი მეცნიერებების დიდი დოზაა პროგრამაში, სადაც სწავლობენ მაგალითად კრეატიულ წერასა და თანამედროვე ხელოვნებას.

საბჭოს წევრმა ნატო გენგიურმა იკითხა, ბოლო, მე-8 სემესტრში გათვალისწინებული შემოქმედებითი პროექტის შესახებ: გუნდურ შემოქმედებით პროექტზე მუშაობისას, თითოეული სტუდენტი იყო უზრუნველყოფილი თავისი ხელმძღვანელით, თუ ერთი ხელმძღვანელობდა ყველას.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ თითოეულ სტუდენტს ჰყავს სხვადასხვა ხელმძღვანელი.

საბჭოს წევრმა ნატო გენგიურმა იკითხა, თუ რამდენი აკადემიური პერსონალი ჰყავს უნივერსიტეტს პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს საკითხი მოცემულია თვითშეფასების ანგარიშში. მისი თქმით, პროგრამას ჰყავს 10 აკადემიური პერსონალი და 3 მათგან უშუალოდ პროფილური. მისი თქმით, ამ მიმართულებით არის ნაკლებობა ქვეყანაში პერსონალისა და უნივერსიტეტი ცდილობს, რომ შეინარჩუნოს ათ პროცენტიანი ბარიერი.

საბჭოს წევრმა ნატო გენგიურმა შენიშნა, რომ რამდენადაც პროგრამა არის სახელოვნებო-შემოქმედებითი მიმართულების და მოიცავს მოდულს აუდიო-ვიზუალური ხელოვნება, აუცილებელი იყო პროგრამაში ჩართული ყოფილიყო შესაბამისი პროფილის პროფესორი - პრაქტიკოსი, შემოქმედი. წარმოდგენილ პროგრამაში ასეთი პროფესორი, კინოს მიმართულებით არ იყო ჩართული. უნივერსიტეტის მიერ დასახელებული პროფესორი კი არ იყო პრაქტიკოსი, არამედ კინომცოდნე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მოცემულ პროფესორს აქვს თავისი როლი პროგრამაზე, როგორც მეცნიერს პირველი წლის საგნებში.

საბჭოს წევრმა ნატო გენგიურმა შენიშნა, რომ კინომცოდნე-პროფესორის როლი პროგრამაში საჭირო და აუცილებელია, ეს არ იყო სადავო. მაგრამ პროგრამას, სტანდარტებიდან გამომდინარე, ესაჭიროება პრაქტიკოსი, სახელოვნებო პროფილის პროფესორი კინოს მიმართულებით. წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით, აღნიშნული აკადემიური თანამდებობა (პროფესორი) არ უკავია პრაქტიკოს რეჟისორს.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაასახელა 2 ასეთი პროფესორის სახელი.

საბჭოს წევრმა ნატო გენგიურმა შენიშნა, რომ ლაპარაკი იყო პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე და არა ასისტენტ-პროფესორის, ან ასოცირებული პროფესორის.

18:00 საათზე გამოცხადდა შესვენება.

18:15 საათზე განახლდა სხდომა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3[1] პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული

„საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 1 წელი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად. საბჭომ უნივერსიტეტს მისცა აკადემიური პერსონალის გაძლიერების რეკომენდაცია.

თავმჯდომარე

ირაკლი ბურდული

ელიზბარ ელიზბარაშვილი

მდივანი

ლევან გორდეზიანი